საქართველოს კანონი
„სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N14, 16.06.2004, მუხ. 50) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 და მე-3 პუნქტები:

„2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში შეიტანება იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

3. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. რეესტრში არსებული მონაცემების საფუძვლად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, მათ შორის, საზოგადოების პარტნიორებისა (გარდა აქციონერებისა, რომელთა წილებიც 5%-ზე ნაკლებია) და მათი წილობრივი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის, ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად საკმარისია იურიდიული პირის ერთ-ერთი საინდენტიფიკაციო მონაცემის ცოდნა.“.

2. მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ეროვნული სააგენტოს ფუნქციებია:

ა) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) და საჯარო რეესტრების წარმოება;

ბ) ზემოაღნიშნული რეესტრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ზემოაღნიშნული რეესტრების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) ზემოაღნიშნული რეესტრების წარმოებისა და ხელმისაწვდომობის მეთოდური ხელმძღვანელობა და შესაბამისი ნორმატიული ხასიათის მითითებების შემუშავება;

ე) სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ეროვნული სააგენტოს დებულებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი
„სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N14, 16.06.2004, მუხ. 50) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 და მე-3 პუნქტები:

„2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში შეიტანება იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

3. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. რეესტრში არსებული მონაცემების საფუძვლად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, მათ შორის, საზოგადოების პარტნიორებისა (გარდა აქციონერებისა, რომელთა წილებიც 5%-ზე ნაკლებია) და მათი წილობრივი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის, ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად საკმარისია იურიდიული პირის ერთ-ერთი საინდენტიფიკაციო მონაცემის ცოდნა.“.

2. მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ეროვნული სააგენტოს ფუნქციებია:

ა) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) და საჯარო რეესტრების წარმოება;

ბ) ზემოაღნიშნული რეესტრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ზემოაღნიშნული რეესტრების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) ზემოაღნიშნული რეესტრების წარმოებისა და ხელმისაწვდომობის მეთოდური ხელმძღვანელობა და შესაბამისი ნორმატიული ხასიათის მითითებების შემუშავება;

ე) სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ეროვნული სააგენტოს დებულებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.